საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №118/ნ
2016 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

სსიპ - ვლადიმირ კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლისათვის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სტატუსის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ, №112, 26.09.2005 წ., სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.007.724) დამტკიცებულ დანართი №3-ით გათვალისწინებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს - ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სსიპ - ვლადიმირ კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლას მიენიჭოს ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სტატუსი.

მუხლი 2

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ, №112, 26/09/2005, სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.007.724) დამტკიცებულ დანართ №10-ში და დანართის №3 გრაფის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის №4 გრაფა:

4	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა - მათემატიკის №199 საჯარო სკოლა	ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №49	ფიზიკა-მათემატიკა	დაწ-საბ-საშ

მუხლი 3

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ, №112, 26/09/2005, სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.007.724) დამტკიცებულ დანართ №3-ში და დანართით გათვალისწინებული საჯარო სკოლების თავიდან ამოღებულ იქნეს №1 გრაფა.

მუხლი 4

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **ალექსანდრე ჯეჯელავა**